

Kakhaber Loria

კახაბერ ლორია

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Tarjei Vesaas as a Novelist

თარიე ვესოსი როგორც რომანისტი

Tarjei Vesaas (1897-1970) is one of the most successful and internationally recognized figures of Norwegian literature of the twentieth century. His work has been marked by many prestigious prizes, among which the Nordic Council Literary Prize stands out (1964).

In many of his novels (e.g., "The Seed", "The Birds", "The Ice Palace" and others) T. Vesaas grapples with serious ethical and psychological problems. It is also worth noting that political allegory is no stranger to Vesaas's novels – the famous novel "The House in the Dark" is a sort of allegorical history of the occupation of Norway by Nazi Germany.

Keywords: Realism; Modernism; Violence; Allegory; Psychologism

საკვანძო სიტყვები: რეალიზმი; მოდერნიზმი; ძალადობა; ალეგორია; ფსიქოლოგიზმი

მიუხედავად იმისა, რომ ნორვეგია მცირერიცხოვანი და გეოგრაფიულად საკმაოდ პერიფერიული ქვეყანაა, ის მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ლიტერატურული ტრადიციებითაა გამორჩეული. საგანგებო აღინიშნავს იმსახურებს ნორვეგიული პროზა და მისი არაერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. მოყოლებული მეცხრამეტე საუკუნიდან განსაკუთრებულ სიმაღლეებს მიაღწია ნორვეგიულმა რომანისტიკამ.

თარიე ვესოსი (1897-1970) მეოცე საუკუნის ნორვეგიული ლიტერატურის ერთერთი ყველაზე წარმატებული და საერთაშორისოდ აღიარებული ფიგურაა. მისი ნაწარმოებები მსოფლიოს მრავალ ენაზე, მათ შორის ქართულადაც (ჯერჯერობით არა უშუალოდ ნორვეგიული ენიდან) არის თარგმნილი. თ. ვესოსი არის შესანიშნავი ლირიკოსი, ძალიან საინტერესო დრამატურგი, დახვეწილი ნოველისტი, თუმცა ლიტერატურის ისტორიაში ის, უწინარეს ყოვლისა, მაინც როგორც რომანისტი შევიდა. თ. ვესოსი არაერთხელ იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე. მისი შემოქმედება აღნიშნულია მრავალი ძალზე პრესტიჟული პრიზით. მათ შორის გამოირჩევა ჩრდილოეთის ქვეყნების საბჭოს ლიტერატურული პრემია, რომელსაც ხშირად ნობელის პრემიის მინი-ვერსიასაც კი უწოდებენ. ეს პრიზი უკვე საყოველთაოდ აღიარებულმა ნორვეგიელმა მწერალმა 1964 წელს მიიღო წინა წელს გამოცემული შესანიშნავი რომანისათვის „ყინულის სასახლე“. თ. ვესოსის მანამდე გამოცემული რომანებიდან უნდა აღინიშნოს „შავი ცხენები“ (1928), „დიდი თამაში“ (1934), „ჩანასახი“ (1940), „სახლი წყვილიადში“ (1945), „გაზაფხულის სადამო“ (1954), „ჩიტები“ (1957), ხოლო შემოქმედებითი ცხოვრების მიწურულს შექმნილი რომანებიდან კი – „ხიდები“ (1966) და „ნავი სადამოს“ (1968).

თ. ვესოსის რომანები ძირითადად მცირეტანის თხზულებებია, მაგრამ ისინი გამოირჩევიან დიდი მრავალფეროვნებით. ზოგიერთი მათგანი, ასე თუ ისე, ეტევა რეალიზმისა თუ ე.წ. ახალი რეალიზმის (ნორვეგიულად: Nyrealisme) ესთეტიკურ საზღვრებში. იმავდროულად დიდ ნორვეგიელ მწერალს შექმნილი აქვს რომანები, რომლებიც მოდერნისტულ პროზას უნდა მივაკუთნოთ. თავის არაერთ რომანში (მაგ. „ჩანასახი“, „ჩიტები“ და სხვა) თ. ვესოსი უმწვავეს ეთიკურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებს ეჭიდება. ასევე საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ თ. ვესოსის რომანისტიკისთვის არც პოლიტიკური ალეგორიაა უცხო, როგორც ეს განსაკუთრებით ცხადად წარმოჩნდება მის თხზულებაში „სახლი წყვიდადში“. ეს საკმაოდ გახმაურებული რომანი ნაცისტური გერმანიის მიერ ნორვეგიის ოკუპაციის ერთგვარ ალეგორიულ ისტორიას წარმოადგენს. ხსენებული რომანი „შეიძლება ასევე ძალზე მართებულად იქნეს წაკითხული როგორც თხზულება ადამიანებზე, სრულიად საზოგადოდ, ტოტალიტარული წნების ქვეშ“ (Egeland, 1983, გვ. 190). ალეგორიული ფორმით „სახლი წყვიდადში“ გაცილებით უკეთ და მგრძობიარედ მოგვითხრობს იმდროინდელ ნორვეგიაში განვითარებულ მოვლენებზე, ვიდრე სხვა უამრავი წიგნი, რომელიც ყველაფერ ამაზე პირდაპირი ფორმით გვესაუბრება.

რაც შეეხება რომანს – „ჩანასახი“ (ასეთია ამ თხზულების ქართული თარგმანის სათაური), ის, რომ იგი თარიღი ვესოსისა და უახლესი ნორვეგიული ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმოებია, სპეციალისტთა იჭვს ოდნავადაც არ იწვევს. მწერალმა ეს თხზულება შემოქმედების მეტ-ნაკლებად ადრეულ პერიოდში შექმნა. მასზე მუშაობა თ. ვესოსმა 1940 წლის გარიჟრაჟზე დაიწყო და რომანი უკვე იმავე წლის შემოდგომაზე დაიბეჭდა. ნორვეგიულად რომანის სათაურია „Kimen“, რისი თარგმნაც სხვა ენაზე ერთი სიტყვით (თითქმის) შეუძლებელია. ამ სიტყვას ნორვეგიულში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს და, ალბათ, ამიტომაც არაა შემთხვევითი რომ მწერალმა თხზულების სათაურად სწორედაც ის შეარჩია. მწერლის მშობლიურ ენაზე სიტყვა „Kimen“ შეიძლება ნიშნავდეს საწყისს (ალბათ, მაინც ყველაზე შესაფერისი სათაური რომანის ქართულად აღსაქმელად), აგრეთვე წყაროს, ღივს, ჩანასახს და ასე შემდეგ.

„რომანი „ჩანასახი“ ოკუპაციის პირველი მოვლენების დროსა და მათ შემდეგ დაიწერა და ომზე მოგვითხრობს. მაგრამ ეს ხდება სულ სხვა ისტორიის მოხმობით“ (Egeland, 1983, გვ.187) □ კვითხულობთ ნორვეგიული ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთ უაღრესად კომპეტენტურ, მრავალტომიან გამოცემაში. და ეს მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებით 1945 წელს გამოსული რომანისა „სახლი წყვიდადში“, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნე, ნაცისტების მიერ ნორვეგიის ოკუპაციის ერთგვარ ალეგორიულ ისტორიას წარმოადგენს, რომანის – „ჩანასახი“ შემთხვევაში, ჩემი აზრით, გაცილებით ძნელია ხელაღებით საუბარი გამჭვირვალე პოლიტიკურ ალეგორიაზე. თუმცა, ზემოთ მოყვანილი ამონარიდისა არ იყოს, „ჩანასახის“ ლიტერატურულ-კრიტიკული ინტერპრეტირება ხშირად სწორედაც რომ ომისა და ოკუპაციის თემატიკასთან მიმართებაში ხორციელდება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თ.ვესოსმა ევროპის არაერთი ქვეყანა მონახულა და მიწასთან გასწორებული მრავალი დასახლება იხილა. შესანიშნავი მწერალი ნორვეგიიდანაც გულდასმით აკვირდებოდა ევროპაში ახლა უკვე მეორე მსოფლიო ომის წინ განვითარებულ დრამატულ მოვლენებს და, როგორც ჩანს, ჯეროვნად აცნობიერებდა იმ უდიდეს საფრთხეს რომლის წინაშეც იდგა იმდროინდელი კაცობრიობა.

რომანში „ჩანასახი“ სიუჟეტური ამბის გადმოცემა მეტნაკლებად ტრადიციული ფორმით ხორციელდება. თხზულება ორ, ასე თუ ისე თანაბარი ზომის ნაწილს მოიცავს. მათი სათაურებია: „უფსკრული“ და „ჩანასახი მტვერში“. ორივე ეს ნაწილი, თავის მხრივ, მოკლე თავებად იყოფა. ამ თავების უმეტესობას კი თავიანთი ავტონომიური თეატრალური განზომილება გასდევს, რაც, ალბათ, არცაა გასაკვირი, ვინაიდან „ჩანასახი“ მწერალს თავის დროზე დრამის სახით სურდა დაეწერა.

„ნაწარმოებში მოქმედება ერთ დღე-ღამეზე ნაკლები დროის განმავლობაში ვითარდება აგვისტოს თბილ და მზიან ამინდში, სანაპიროსთან ახლოს მდებარე ერთ ბარაქიან, ულამაზეს მწვანე კუნძულზე. რომანის დასაწყისში ახალგაზრდა კაცი, სახელად ანდრეას ვესტ, სწორედ ამ მისთვის უცნობ კუნძულზე ჩადის სიმშვიდისა და სიწყნარის საძიებლად. ის სულიერად უაღრესად ტრავმირებული ჩანს, მას შემდეგ რაც ფაბრიკაში, სადაც მუშაობდა, ძლიერი აფეთქება მოხდა, ბევრი ადამიანი დაიღუპა და პირადად მასაც სიკვდილისათვის თვალეზში ჩახედვა მოუწია. ჩამოსვლისთანავე ანდრეას ეუფლება შეგრძნება, რომ ეს კუნძული სწორედ ის ადგილია, რომლისკენაც ის ასე ისწრაფვოდა სულიერი წონასწორობის აღსადგენად. მართლაც, ამ ამწვანებულ, სიცოცხლით სავსე კუნძულზე გარეგნულად სრული, რაღაც არაამქვეყნიური ჰარმონია სუფევს და ყველაფერი, ერთი შეხედვით, დედამიწაზე განხორციელებულ სამოთხეს წაგავს. მაშ, სად უნდა გამოჯანმრთელდეს კაცი და აღიდგინოს სასიცოცხლო ძალები, თუ არა აქ?! საოცარი სილამაზით მოხიბლული ანდრეასი კუნძულის ბუნებრივი შუაწერტილისაკენ მიემართება. იქ, ზემოთ, ადგილობრივი მემამულის, კარლ ლის, ფერმაში კი უზარმაზარი წითელი ბეღელი მდებარეობს. სწორედ აქედან იწყება საბედისწერო ამბები. ლის ფერმაში შემთხვევით მოხვედრილი უცხო (ასეა ანდრეასი არაერთხელ მოხსენიებული ნაწარმოებში) როგორც კი ბეღელს მიაღწევს, საშინელი ხმაურის მომსწრე გახდება: საქმე ისაა, რომ ფერმაში ღორებიც ჰყავთ. ორ დედაღორს შედარებით ახლახან გოჭები დაუყრია და ახლა მათ დასაკოდად კაცია მოსული. გოჭები კასტრიებისას საწყალობელ ხმებს გამოსცემენ, რაც მათ დედებზე საშინლად ამაფორიაქებელ ზემოქმედებას იქონიებს და ეს უკანასკნელნიც, გავეშებულ-გახელებულნი, სრულიად ანგარიშმიუცემლად სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაეტაკებიან ერთმანეთს. მათი ავადმყოფური ორთაბრძოლა, რომელიც საოცარი მხატვრული ძალითაა გადმოცემული, შენობის გარეთ დასრულდება, როცა ორივენი საღორეს გამოანგრევენ და გაუქმებულ ჭაში ჩავარდნით დაამთავრებენ სიცოცხლეს. მაგრამ ეს საგიჟეთი საღორეში ამით არ ამოიწურა – ორმტრიალით ტვინარეული მესამე დედაღორი, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე წუთის წინ იმშობიარა, არც მეტი და არც ნაკლები, საკუთარი გოჭების ჭამას დაიწყებს. სწორედ ამ შემზარავი სცენის მომსწრე შეიქნება ანდრეას ვესტ, რომელიც უკანმოუხედავად გამორბის ფერმიდან: მის გონებაში რაღაც საძულადმოდ გადატრიალდა; ცოტა ხნის შემდეგ ის კუნძულზე შემთხვევით ხვდება უცნობ ახალგაზრდა გოგონას, კარლ ლის ქალიშვილს – ინგას, რომელიც გულუბრყვილოდ მიენდობა მას და კუნძულის ერთ მივარდნილ ადგილას ულამაზეს მცენარეებს ათვალერეზინებს. გონებადაზნელებულ ანდრეას ვესტს კი, როგორც ჩანს, მისი მოკვლა განუზრახავს, რასაც ახერხებს კიდევ. როგორც კი კუნძულის მცხოვრებელნი მკვდარ ინგას ნახავენ, ისინი გარდაცვლილის ძმის, როლვის, მეთაურობით უცხოზე საყოველთაო ნადირობას იწყებენ, რაც კარლ ლის ხეხილის უმშვენიერეს ბაღში ლინჩის წესით მკვლელობით მთავრდება და რაშიც კუნძულის თითქმის ყველა ბინადარი მონაწილეობს... მწვანე კუნძულზე, რომელსაც რომანში სახელიც კი არ აქვს, და რაც არ მგონია შემთხვევით გამორჩენოდეს მწერალს, ერთი უცნაური ქვრივიც ცხოვრობს – კარი ნეს. ამ ტრაგიკულმა ადამიანმა ქმარი და ორი ვაჟი-შვილი ზღვაში დაკარგა და ამის შემდეგ უკიდურესად შეიცვალა. ზოგიერთი მას გიჟადაც კი თვლის. კარი მთელი დღე აღმა-დაღმა დაეხეტება და ხალხს რელიგიური ხასიათის შეკითხვებით უღონებს გულს. ამიტომაც, როგორც წესი, მას ყველა გაურბის. მაგრამ ანდრეას ვესტის ლინჩის წესით დასჯის შემდეგ, ის სათითაოდ ჩამოუვლის კუნძულის ყველა მცხოვრებს და კარლ ლის ბეღელში საყოველთაო შეკრებისთვის ეპატიჟება საკუთარი ინიციატივით. მისი მეცადინეობით და დაჟინებული თხოვნით, ლის ფერმაში ბრუნდება როლვიც, რომელიც, მას შემდეგ რაც სხვებთან ერთად ინგას მკვლელს აგრერიგად გაუსწორდა, ყველასაგან, მათ შორის საკუთარი მამისა (რომელმაც, ცნობილი ფრაზით – „სიმხეცის შეწყნარება არ შეიძლება“, არსებითად თავიდანვე დაგმო შვილის და მის თანამზრახველთა საქციელი) და შეყვარე-

ბულისაგან, განვიცხულად და მიტოვებულად გრძნობს თავს და, რომ არა კარი ნეს, შესაძლოა, სიცოცხლე თვითმკვლელობითაც კი დაესრულებინა. საღამოს თითქმის მთელი კუნძული იკრიბება კარლ ლის უზარმაზარ ბელელში და მისგან რაიმე სახის მიმართვას ელის. მაგრამ ამაოდ. კარლ ლის არ ყოფნის ძალა ან ანუგემოს, ან ბოლომდე(!) დაგმოს მათივე დაუნდობელი საქციელის თანდათანობითი გაცნობიერებით ისედაც თავზარდაცემული ადამიანები. ისინი კი მაინც არ (ან ვერ) იშლებიან და ღამეს უსიტყვოდ ათევენ შენობაში, რომლის ზემოთა სართულებზე ორი გვამი ასვენია: ინგასი და მათ მიერვე ჩაქოლილი უცნობის. მიუხედავად უმძიმესი ფსიქოლოგიური სურათისა, რომელიც ლის ბელელში მთელი ღამე თანდათანობით ყალიბდება და რომელსაც კიდევ უფრო ამძიმებს იმის გასიგრძეგანებაც, რომ შესაძლოა, სიკვდილით სულით ავადმყოფი დასაჯეს, რომანი მაინც მეტ-ნაკლებად ოპტიმისტური ტონალობით მთავრდება: უზარმაზარ სივრცეში საათობით ჩამოვარდნილ მტანჯველ სიჩუმეს ინგას მეგობრის – გუდრუნის ხმა არღვევს: „მე ბავშვს ველოდები“, – აცხადებს ყველა შეკრებილისათვის სავსებით მოულოდნელად ახალგაზრდა ქალი და მის სიტყვებს ამ მტვრიან და ბნელ ბელელში თავმოყრილი მთელი კუნძული ხსნად, შვებად და ღვთის გზავნილად აღიქვამს: ე.ი. სიცოცხლე მაინც უნდა გაგრძელდეს! „კუნძული უწინდებურად მწვანეა“, – წარმოთქვამს თავისთვის ისევე იგივე გუდრუნი. თხზულება მთავრდება სცენით, სადაც როლვ მორჩილად ელოდება კუნძულზე მომავალ გემს, რომელმაც, სავარაუდოდ, ის მკვლელობაზე პასუხსაგებად უნდა წაიყვანოს...“ (ლორია, 2013, გვ. 244-246).

საინტერესოა, როგორ უყურებდა თ. ვესოს თავის ამ უდაოდ გამორჩეულ თხზულებას. ხსენებული რომანის ერთ-ერთი გამოცემის წინასიტყვაობაში იგი აღნიშნავდა: „*ჩემს წიგნებს შორის „ჩანასახი“ წყალგამყოფის როლს თამაშობს. ეს თავიდან ასე არ ყოფილა ჩავიქრებელი, მაგრამ მოხდა რაღაც შეუძლებელი და საშინელი და ამან უბრალოდ მაიძულა სხვაგვარად მეწერა. არანაირი განსაკუთრებული ესთეტიკური პროგრამა არ მქონია, უბრალოდ, მოვლენებზე სხვაგვარი რეაგირება დავიწყე“ (ვესოს, 1965, გვ. 5). ამ „რაღაც შეუძლებელსა და საშინელში“ მწერალი ომის დაწყებასა და ნორვეგიაში ნაცისტური გერმანიის შეჭრას უნდა გულისხმობდეს. რაც შეეხება „სხვაგვარად წერას“ აქ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ხსენებულ რომანში მწერალი, ერთის მხრივ, თითქოს საკმაოდ თანმიმდევრულად მისდევს ამ თხზულებამდე მისთვის ესოდენ დამახასიათებელ ფსიქოლოგიური რეალიზმის ხაზს, თუმცა იმდენად აშკარაა გამომსახველობითი ან თუნდაც იდეურ-თემატური ნოვაციები, რომ ძალიან ჭირს „ჩანასახის“ გააზრება მხოლოდ რეალისტური პროზის კონტექსტში (Chapman, 1969, გვ. 91).*

ფაქტია, რომ „ჩანასახის“ შექმნის თარიღი სრულიად ცალსახად ემთხვევა მეორე მსოფლიო ომის დაწყებასა და ნაცისტური გერმანიის შეჭრას იმდროისათვის ნეიტრალურ ნორვეგიაში. შესაბამისად, ბუნებრივია არსებობს წინაპირობა და ერთგვარი იმპულსიც კი ამ პოლიტიკური მოვლენების მხატვრულ ნარატივში პირდაპირი თუ არაპირდაპირი ასახვისა. და მაინც, თხზულებაში განმსაზღვრელი პოზიცია ყოველგვარ პოლიტიკურზე აღმატებულ, უმწვავეს მორალურ და ეთიკურ საკითხებს უჭირავს, ხოლო თუ რა ისტორიული გარემოებებითაა მათზე აქცენტირება განპირობებული, ეს, ჩემი აზრით, ერთგვარად უკანა პლანზე გადადის.

რომანი „ჩიტები“ (ალბათ, უფრო ზუსტი თარგმანი იქნებოდა – „ფრინველები“) მკითხველთა და ლიტერატორთა ფართო წრისათვის თ. ვესოსის მთავარი ნაწარმოებია. ეს ძალზე პოპულარული თხზულება 1957 წელს გამოვიდა. რომანს აქვს „*რეალისტური მოქმედების ჩარჩო, მაგრამ პოეტური შინაგანი განწყობა*“ (Beyer, 1996, გვ. 375). თანამედროვე სკანდინავიის ერთ-ერთი გამორჩეული ლიტერატორი, პროფესორი პიერ-თომას ანდერსენი რომანთან დაკავშირებით საინტერესოდ საუბრობს თხზულების მიმართებაზე „წმინდა გულუბრყვილობის“ თემასთან (2001, გვ. 396). ამ კონტექსტში ის ხედავს რომანის მთავარი პერსონაჟის ერთგვარ მსგავსებას დოსტოევსკის ცნობილი რომანის – „იდიოტი“ მთავარ პერსონაჟთან, თავად მიშკინთან. მშვენივრად აცნობიერებს რა განსხვავ-

ვებებსაც ამ ფიგურებს შორის, მკვლევარი მაინც აცხადებს: „*მაგრამ მონათხრობებს აქვთ საერთო ნიშნები გულუბრყვილო უბრალოებასა და მკაცრ სამყაროს შორის შეხვედრის აღწერაში.*“ (Andersen, 2001, გვ. 396).

რომანში „ჩიტები“, გარეგნულად, მოქმედება ვესოსისთვის დამახასიათებელ, ერთგვარად მივარდნილ, პროვინციულ გარემოში მიმდინარეობს. მოსახლეობა ცოტაა, ხალხი კი არცთუ მარტივ პირობებში მიწათმოქმედებითა და ხე-ტყის ჭრით ირჩენს თავს. ზაფხულობით შეიძლება მცირერიცხოვანი ტურისტებიც გამოჩნდნენ, მაგრამ მთლიანობაში ცხოვრება თავის წყნარი და ჩვეული რიტმით მიემართება. მაგრამ, როგორც პროფ. ანდერსენი მართებულად შენიშნავს, ამ ტრივიალური პროვინციული სამყაროს პარალელურად აღწერილია ასევე სხვა სინამდვილე, უაღრესად დრამატული, „შიდა სიმბოლური სამყარო“, სადაც უმნიშვნელო, ტრივიალური ყოფითი გარემოებები, გააჩნიათ რა სიმბოლურობით აღჭურვის ძალა, კოსმიურ და უნივერსალურ მნიშვნელობას იძენენ (Andersen, 2001, გვ. 396). რომანის მთავარი გმირია მათისი. ის „*არის ბავშვი, რომელიც არასოდეს იქნება ზრდასრული*“ (Egeland, 1983, გვ. 193), მიუხედავად იმისა, რომ ასაკით რახანია ოცდაათ წელს გადააბიჯა. მათისი არაფრის მაქნისია, არაფერი გამოსდის, ზოგადად შრომა დიდად არც უყვარს და არც ეხერხება. ის ფსიქოლოგიურად ასაკის შესაფერისად განვითარებული არაა და იქ, სადაც ის ცხოვრობს, პირდაპირ თუ არაპირდაპირ უმეტესობა „სულელს“ ეძახის. „*დაბაში უარეს შემთხვევაში დასცინიან, უკეთეს შემთხვევაში კი ეცოდებათ*“ (Egeland, 1983, გვ. 193). მათისი, მრავალი თვალსაზრისით, ტვირთად აწევს საკუთარ დას – მასზე ასაკით ცოტათი უფროს ჰეგეს, რომელიც ძირითადად ქსოვით ირჩენს თავს და ძმასაც ინახავს. მაგრამ მათ ერთმანეთი ჰყავთ, ისინი კარგა ხანს მხოლოდ ორნი არიან. მათ „*იდილიას*“, ერთი შეხედვით, არც არაფერი ემოქმედება. ამასობაში მათისი თითქოსდა მეზორნეობას იწყებს. ერთადერთი ხომ, რაც მას ეხერხება, ნავის ნიჩბების კარგად მოსმია და, ალბათ, ამიტომ. და მაინც, მათისი უცნაურად გამორჩეულია ადამიანია. ის ერთდროულად ორ სამყაროში ცხოვრობს: ერთში სხვა ყველა ადამიანთან, მეორეში კი საკუთარ წარმოსახვებთან ერთად. ავადმყოფურად ეშინია ელვის და მეხის. ბუნების (და არამართო ბუნების) მოვლენებს მისი ფსიქიკა ჩვეულებრივი ადამიანისგვარად იშვიათად აღიქვამს. მისი ეს ხსენებული მეორე სამყარო სავსეა სიმბოლური მინიშნებებით, რომელთაც მართო თავად ჰკერეტს ან მხოლოდ მისთვის აქვთ განსაკუთრებული მნიშვნელობა (როგორც, მაგალითად, ტყის ქათამის ყოველდღიურ გადაფრენას მის სახლზე ან მეხის დაცემას ორიდან ერთ ალვის ხეზე, რომელსაც ხალხმა მათისი და ჰეგე შეარქვა). ამ მხრივ ძალიან ნიშანდობლივია, რომ ამ უაღრესად თავისებურ პერსონაჟთან თავის მიმართებას ავტორი ახასიათებდა, არც მეტი და არც ნაკლები, როგორც „*ავტოპორტრეტს გარკვეული შესწორებებით*“ (Egeland, 1983, გვ.194). ცხადია, მწერალი ამ შემთხვევაში არ გულისხმობდა პერსონაჟის არასრულფასოვან გონებრივ თუ ფსიქოლოგიურ განვითარებას (რომ პირდაპირ არ ვთქვათ – განუვითარებლობას), რაც რომანში საკმაოდ თვალშისაცემია. აქ საუბარია იმაზე, რომ მათისისგვარად ისიც აღსავსე იყო თანაგრძნობისა და თანადგომის გამორჩეული უნარით. იმავდროულად, ამ უცნაური პერსონაჟის არ იყოს, სრულიად ჩვეულებრივსა და ბანალურშიც ვესოსი სრულიად გამორჩეულსა და სხვებისათვის მიუწვდომელს ხედავდა, ხედავდა ხშირად ისეთსაც კი, რისი გამოთქმაც სიტყვებით სრულიად შეუძლებელია, მაგრამ რის გადმოცემასაც ის, თუნდაც როგორც რომანში „ჩიტები“, მაინც ასე ხშირად ახერხებს.

მათისისთვის ნამდვილ კატასტროფად იქცევა ტყისმჭრელი ახალგაზრდა კაცის, იორგენის გამოჩენა, რომელიც ბინას მათთან სახლში დაიქირავებს და მალე ჰეგეს შეყვარებულად გახდება. მანამდე ჰეგე ერთგვარი შუამავალია მათისის ორ სამყაროს შორის, მაგრამ თანდათანობით, სასიყვარულო ურთიერთობით გატაცებული ქალი, ძმისთვის ამ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას კარგავს და მათისი მართო რჩება მის მეორე, წარმოსახვით სამყაროში. მთავარი პერსონაჟის ეს დრამა საოცარი ლირიზმით და, ამავე დროს, უმწვავესი დრამატიზმით აქვს დახატული მწერალს. სასოწარკვეთილი მათისი თავიდან ცდილობს იორგენს შეეწინააღმდეგოს, მაგრამ ხვდება, რომ ის ამ ბრძოლას წააგებს. თან არ უნდა, რომ დისა და მის შეყვარებულს შორის წინაღობად ჩადგეს. ვერ

პოულობს რა გამოსავალს, მათისი უმკაცრეს გამოცდას უწყობს საკუთარ ბედს: ისე რომ ცურვა არ იცის, ძირგახვრეტილი ნავით შეგნებულად გადის ტბაში და თავის სიცოცხლეს გაცნობიერებულად აგდებს სასწოროზე მხოლოდ იმის იმედად, რომ ნავის გარდუვალი ჩაძირვისას წყალზე მოტივტივე ნიჩბებს ჩაეჭიდება და, თუ „ძალებმა“ ინებეს, თავს ასე გადაირჩენს. „*ოღონდ გადაწყვეტილება ჩემზე აღარ არის. ეს სხვებს მივანდე. [...] შიგნით, ბნელი სიღრმის თავზე უნდა გადაწყდეს. უფრო, უფრო ღრმად უნდა შევცურო...*“ – სიტყვების წარმოთქმის გარეშე ელაპარაკება თავის თავს მათისი (ვესოს, 2007, გვ. 192-193). ბედთან ეს შემადრწუნებელი თამაში რომანის მთავარი პერსონაჟისთვის ფატალურად მთავრდება – მათისი იღუპება. პიერ-თომას ანდერსენის აზრით (2001, გვ. 398), მათისის სიკვდილი გამოცდაცაა და მსხვერპლის გაღებაც. მათისი მსხვერპლად გასცემს თავს ჰეგესათვის, მაგრამ მის საქციელს ცალსახად თვითმკვლელობასაც ვერ ვუწოდებთ.

უნდა აუცილებლად აღინიშნოს, რომ სიუჟეტური სიმარტივისა და მოჩვენებითი უბრალოების მიუხედავად რომანს – „ჩიტები“ უდაოდ გააჩნია გარკვეული ალეგორიულ-სიმბოლური განზომილება, რაც ნაწარმოების ინტერპრეტირების სხვადასხვაგვარ შესაძლებლობას იძლევა. ამავე დროულად, მწერალი ამ ტექსტში თითქოსდა შლის ზღვარს პროზასა და პოეზიას შორის, რაც, საზოგადოდ, ვესოსის არერთი თხზულებისთვის ესოდენ დამახასიათებელია. ზემოხსენებული გარემოებები კი, თავის მხრივ, რომანს მიმზიდველს ხდის როგორც სპეციალისტებისთვის, ისე მკითხველი საზოგადოების დიდი აუდიტორიისათვის.

ერთ სტატიაში, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია თუნდაც მიმოხილვით შეეხო დიდი ნორვეგიელი მწერლის ყველა რომანს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი გვერდს ვერ ავუვლი მის ერთ-ერთ ყველაზე სახელგანთქმულ თხზულებას – „ყინულის სასახლე“ (1963). როგორც თავიდანვე აღვნიშნე, ამ რომანმა 1964 წელს თ. ვესოსს ჩრდილოეთის საბჭოს უაღრესად პრესტიჟული ლიტერატურული პრემია მოუტანა. მეტნაკლები განსხვავებით რომანისაგან „ჩანასახი“ და მსგავსად რომანისა „ჩიტები“ სიუჟეტური ქარგა „ყინულის სასახლის“ შემთხვევაში გარეგნულად საკმაოდ მარტივი და, იმავედროულად, ძნელად გადმოსაცემია. ამის მიზეზი კი ის უნდა იყოს, რომ თხზულება, ზოგადად, დატვირთულია მრავლისმომცველი სიმბოლოებით და ასევე გარკვეული კონკრეტული სიმბოლოებითაც. მათთან მთავარი სიმბოლო, არც მეტი და არც ნაკლები, უშუალოდ სათაურშივეა გამოტანილი. საზოგადოდ, არაერთხელ აღნიშნულა, რომ რასაც კი საერთოდ ქმნიდა, თ.ვესოსი ყველაფერში ლირიკოსი იყო (Andersen, 2001, გვ. 398). იმავედროულად, წმინდა ზედაპირული შთაბეჭდილებით, ვესოსი „ზედმეტად“ ნორვეგიელია, უაღრესად დაინტერესებული იმ ლანდშაფტითა და ადგილობრივი გარემოთი სადაც მის მიერ მოთხრობილი ამბები ვითარდება. მაგრამ ალეგორიულ-სიმბოლური წერის მანერით ის თითქმის ყოველთვის აღწევს იმას, რომ ეს ფიზიკურ-გეოგრაფიული ლანდშაფტები „გარდაიქმნებიან“ და სრულფასოვნად წარმოჩინდებიან რთული სულიერი ცხოვრების ღრმა სიმბოლოებად. უნდა დავეთანხმო პიერ-თომას ანდერსენს (2001, გვ.398), რომ ასე და ამგვარად ეწერება ვესოსი ევროპული და მოდერნისტული რომანისტიკის ტრადიციაში. აქვე მინდა აღვნიშნო რომ მოდერნიზმს ნორვეგიულ ლიტერატურაში ორი სტადია აქვს: ერთი, შედარებით ადრეული, მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში (ჰამსუნი; ობსტველდერი), მეორე კი – მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში.

გარეგნულად, რომანი „ყინულის სასახლე“ ორი ბავშვის, თერთმეტი წლის გოგონების, სისის და უნის მეგობრობის სევდიან ისტორიას მოგვითხრობს. ესაა თხზულების, ასე ვთქვათ, ემპირიულ-რეალისტური პლანი. მეგობრობის ეს ისტორია უცნაური და, რაღაც თვალსაზრისით, მისტიკურია. „*სისი და უნი უეცრად შეიგრძნობენ, რომ მათ შორის ძაფები იმგვარად იბმევა, რომ ამის ახსნა არ შეუძლიათ. ისინი იდუმალად აგრეთვე ერთის ორი და ერთი ორში არიან*“ (Egeland, 1983, გვ. 195). ნაწარმოების ერთგვარი საკვანძო მომენტი და გასაღებია უაღრესად ლირიული და, ამავედროულად, საკმაოდ ენიგმატური სცენა როდესაც გოგონები ერთად იმზირებიან სარკეში:

„სისი ვერ მიხვდა, რა ხდებოდა, მაგრამ უნის მაინც გვერდით მიუჯდა. თითოეულმა თითო კიდე დაიჭირა, სარკე წამოაყენეს და ადგილიდან გაუნძრევლად – თითქმის ლოყებით მიკრულვებმა შიგ ჩაიხედეს. რა დაინახეს? გაცნობიერებაც კი ვერ მოასწრეს, ისე ჩაეფლენ სარკეში. სარკე მთლიანად გაეფსო თავ-თავის წამწამებს მიღმა სხივ-ათინათებით აღსავსე ოთხ თვალს, რომელთაგან კითხვა კითხვაზე იზადებოდა და ქრებოდა. არ ვიცი: შენგან ჩემსკენ, ჩემგან შენსკენ და ჩემგან მხოლოდ შენსკენ ციალებდნენ სხივები და ათინათები, – სარკეში ბრუნდებოდნენ, ისევ გარეთ იტყორცნებოდნენ და არც პასუხი არსებობდა და არც არაფრის ახსნა. ეგ შენი გამობურცული წითელი ტუჩები... არა, შენი კი არა, ჩემი... როგორ ჰგვანან ერთმანეთს! თმის ერთნაირი ვარცხნილობა და – სხივები და ათინათები. ეს ჩვენ ვართ! ამას ვერაფერს მოვუხერხებთ, ეს თითქოს სხვა სამყაროდან მოდის. [...] ეს ხომ მოდი-მარი ბაგეა, სხვა სამყაროდან გამონათებული ბაგე. არა, ეს ბაგე არ არის, არც ღიმილი, არავინ იცის, რა არის [...].

სარკე ქვემოთ დაუშვეს და ერთმანეთს სახეაწითლებულებმა და გაოგნებულებმა შეხედეს. ისინი ერთმანეთს უნათებდნენ, ერთმანეთს ემთხვეოდნენ. სასწაულებრივი წამი იდგა.

– ეს შენ იცოდი, უნ? – ჰკითხა სისიმ.

– შენც დაინახე? – დაუბრუნა უნიმ.

უცებ უხერხულობა ჩამოვარდა. უნი გამოფხიზლდა. ახლა ცოტა ხანს უნდა მსხდარიყვნენ და ამ უცნაური მოვლენის შემდეგ გონს მოსულიყვნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ერთ-ერთმა თქვა: – არა მგონია, რამე მომხდარიყოს. – ჰო, არც მე მგონია. – თუმცა უცნაური კი იყო.

რასაკვირველია, რაღაც მოხდა და ჯერ კიდევ აქ იყო. ეგაა, ორივენი ცდილობდნენ თავი დაეღწიათ. უნიმ სარკე თავის ადგილზე ჩამოკიდა [...]“ (ვესოს, 2011, გვ. 18-19).

მაგრამ რეალობასთან დაბრუნება ადვილი არ აღმოჩნდება. მეგობრების ამ უცნაურ სულიერ შერწყმას, რომლის დროსაც გოგონები ყოველგვარი სიტყვების გარეშე ერთმანეთს პირობას მისცემენ, რომ ყოველთვის ყველაფერს ნიშნავდნენ ერთმანეთისთვის, ძალზე დრამატული განვითარება ელის. ძალიან მალე უნი ფიზიკურად უჩინარდება. ის მარტოდმარტო შედის დასახლებიდან მოშორებით მდებარე მომაჯადოებელ გაყინულ ჩანჩქერში, საიდანაც უკან გამოლწევას ვეღარ ახერხებს და ყინულის ამ სასახლის უზარმაზარ ლაბირინთში სამუდამოდ იკარგება. უნის, ცხადია, ყველგან ეძებენ კარგა ხნის განმავლობაში, მათ შორის გაყინულ ჩანჩქერთანაც, მაგრამ ამაოდ. მალე ზამთარი ძალაში შედის, ყველაფერი დიდი თოვლით იფარება და ძებნასაც აზრი აღარ აქვს. ამავდროულად, ყველას გონია, რომ სისი რაღაც საიდუმლოს ინახავს და რომ მან მეტი იცის უნის შესახებ, მაგრამ მალავს. ყველაფერი იმით მთავრდება, რომ მარტის თვეში, როცა ყინულის სასახლის თავზე შეთხელებულ თოვლს ქარი გაფანტავს, სისი მარტო გაემართება უზარმაზარ გაყინულ ჩანჩქერთან, რისკის ფასად ამერება მასზე და უეცრად შემამწრუნებელ „ხილვას“ განიცდის: *„მარტის ძალუმი მზე უნის პირდაპირ ანათებდა და ამიტომაც გოგონა მთლიანად კაშკაშებდა, ერთიანად მოვარაყებელიყო მანათობელი ზოლებით და სხივებით, ყინულის ვარდებით და ორნამენტებით, თითქოს რომელიღაც დიდი დღესასწაულისთვის მოურთავთო.“* (ვესოს, 2011, გვ.103). მაგრამ დიდოსტატი მწერლის მიერ საოცრად დახატული ეს სურათი, ნაწარმოების მიხედვით მართლა ხილვა როდია, როგორც ეს სისის თავიდან ეგონა. გოგონა ფსიქოლოგიური შოკის შემდეგ მალევე ახერხებს სიტუაციის გაცნობიერებას და თვალს უსწორებს მწარე რეალობას. თუმცა, ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ მის საიდუმლოდ რჩება ისევე, როგორც მისი და უნის სამარადისო მეგობრობის უსიტყვო აღთქმა. გვიან გაზაფხულზე კი გაყინული ჩანჩქერი ჩამოინგრევა და ყინულის სასახლეს, მის ტრაგიკულ საიდუმლოსთან ერთად, სამუდამოდ წყალი წაიღებს.

როგორც უკვე შევნიშნე, არც „ჩიტები“ და არც „ყინულის სასახლე“ არაა თხზულებები, სადაც უმთავარესი ნაწარმოების სიუჟეტური განვითარებაა. ამ პროზალირიკულ შედეგებში უამრავი

აზრობრივი თუ ესთეტიკური გამოცანა და კითხვის ნიშანია. ასე, მაგალითად, ისიც კი შეიძლება დავუშვათ ან ვივარაუდოთ, რომ სისი და უნი არა მარტო სულიერი ტყუპისცალებია, არამედ, შესაძლოა, ერთი და იმავე სუბიექტის სხვადასხვა გამოვლინებაც არის და ეძებს რა დაკარგულ უნის, სინამდვილეში სისი თავის დაკარგულ მე-ს(აც) ეძებს. თუმცა, ამავდროულად, „ყინულის სასახლისათვის“, ღრმა ფსიქოლოგიზმთან და აშკარა მრავალპლანიანობასთან ერთად, განსაკუთრებით დამახასიათებელია გამორჩეული სურათოვნებაც. თ.ვესოსი, შეიძლება ითქვას, სრულფასოვან ფერწერულ ხატებს აღბეჭდავს მკითხველის ცნობიერებაში. ასევე განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება რომანის დიდებულ ენობრივ ქსოვილზე, რაც, რა თქმა უნდა, ორიგინალში კიდევ უფრო საგრძნობია, მაგრამ შეძლებისდაგვარად შენარჩუნებულია ასევე (მესამე ენიდან) ქართულ თარგმანშიც.

დასასრულს, თ. ვესოსის რომანების ენობრივ მხარესთან დაკავშირებით, აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ დიდი ნორვეგიელი მწერალი თავის ნაწარმოებებს ქმნიდა „ნინორშკე“ (ნორვეგიულად – Nynorsk, სიტყვასიტყვით ნიშნავს „ახალნორვეგიულს“), რომელიც ნორვეგიული სალიტერატურო ენის ე.წ. მეორე ფორმაა და შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული – მას სალიტერატურო ენის ფორმად ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 10-15 პროცენტი თუ იყენებს. „ნინორშკი“ კარგად ესმით ნორვეგიული სალიტერატურო ენის ძირითადი ფორმის – „ბუქმოლის“ (ნორვეგიულად – Bokmål, სიტყვასიტყვით ნიშნავს „წიგნის ენას“) მცოდნეებსაც. ამავდროულად, ჩემი (და არა მხოლოდ ჩემი) აზრით, „ნინორშკი“ უადრესად კოლორიტული, პოეტური და ლირიული ვერსიაა ნორვეგიული ენისა, რომელიც დიდი მწერლის ხელში დამატებით ესთეტიკურ ეფექტს შეიძლება სძენდეს ხოლმე ნაწარმოებებს. შესაძლოა ითქვას, რომ „ნინორშკის“ ხსენებულ პოტენციალს თ.ვესოსი თავის რომანებში (და არა მარტო რომანებში) დიდი წარმატებით იყენებს. სამწუხაროდ, თავის დროზე თ. ვესოსი არ აღმოჩნდა ის მწერალი, რომლის შემოქმედება ნობელის პრემიით აღინიშნა, მაგრამ 2023 წელს მისი თანამემამულე იუნ ფოსე გახდა ლიტერატურაში ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი, რომელიც ნაწარმოებებს ნორვეგიული სალიტერატურო ენის ამ, შედარებით ნაკლებადგავრცელებული, ფორმით ქმნის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ვესოს, თ. (2011). ყინულის სასახლე. თბილისი: „ნექტარი“, ISBN 978-9941-0-0203-8
- ლორია, ვ. (2013). „ხალხის მორევი“ თუ „უფსკრული შენს სიღრმეში“ (მ. ჯავახიშვილის „ემშაკის ქვის“ და თ. ვესოსის „Kimen“-ის გააზრებისათვის), „ლიტერატურული დიებანი“, XXXIV, 243 – 261, თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“, ISSN 0235-3776
- Andersen, P. (2001). Norsk litteraturhistorie. [ნორვეგიული ლიტერატურის ისტორია]. Oslo: „Universitetsforlaget“, ISBN 9788200128366
- Beyer, H. & E. (1996). Norsk litteraturhistorie. [ნორვეგიული ლიტერატურის ისტორია]. Oslo: Tano Aschehoug, ISBN 8251833809
- Chapman, K. (1969). Hovedlinier i Tarjei Vesaas' diktning. Oslo: „Universitetsforlaget“
- Egeland, K. (1983). Tarjei Vesaas, «Norges Litteratur Historie, [თარიეი ვესოსი. „ნორვეგიის ლიტერატურის ისტორია“]. red. av Beyer, E.» («The Literary History of Norway», ed. by Beyer, E.), bd. 5., 174-202, Oslo: J.W. Cappelens Forlag, ISBN 8257402257
- Vesaas, T. (1965). Kimen. [ჩანასახი]. Oslo: Den Norske bokklubben. ISBN 978-99928-68-99-9

References:

- Andersen, P. (2001). Norsk litteraturhistorie [The Norwegian literary history]. Oslo: Universitetsforlaget, ISBN 9788200128366
- Beyer, H. & E. (1996). Norsk litteraturhistorie [The Norwegian literary history]. Oslo: Tano Aschehoug, ISBN 8251833809
- Chapman, K. (1969). Hovedlinier i Tarjei Vesaas' diktning [Main lines in Tarjei Vesaas's work]. Oslo: Universitetsforlaget
- Egeland, K. (1983). Tarjei Vesaas, «Norges Litteratur Historie, red. av Beyer, E. » («The Literary History of Norway», ed. by Beyer, E.), bd. 5., 174-202, Oslo: J.W. Cappelens Forlag, ISBN 8257402257
- Loria, K. (2013). Loria, K'. (2013). „Khalkhis morevi“ tu „upsk'ruli shens sighrmeshi“ (M. Javakhishvilis „eshmak'is kvis“ da T. Vesosis “Kimen”-is gaazrebisatvis). [“The People's Vortex” or “the Pit in Your Own Self” (Food for Thought about Mikheil Javakhishvili's “The Devil's Stone” and Tarjei Vesaas' “The Seed (Kimen)”), „Literary Researches“, XXXIV, 243-261, Tbilisi: „lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba“, ISSN 0235-3776
- Vesaas, T. (1965). Kimen]. Oslo: Den Norske bokklubben, 1965.
- Vesaas, T. (2007). Chit'ebi. [The Birds]. Tbilisi: „nekt'ari“, ISBN 978-99928-68-99-9
- Vesaas, T. (2011). Q'inulis sasakhle. [The Ice Palace]. Tbilisi: „nekt'ari“, ISBN 978-9941-0-0203-8